ცისკარი.

1873

იანვარი.

წელიწადი მეშვიდმეტე.

წოდება თხზულებათა:

I, — თ. ზაალ ბარათაშვილის. (ლექსი) ი. კერესელიძისა.

II, — ვისაც მოსვდეს ჩემი არა ბრალია. თავხედისა.

III, — უკრაინის დიპლომატები. (დასასრული.) ი. კერესელიძისა.

IV — წიგნი მოწერილი რედაქტორთან. კოსტ. კოლუბანსკისა.

ტფილისს.

მარტიროზიანის ტიპოგრ[illegible]ში.

[illegible] ბიბლიოთეკა

თ. ზ ცალ ბორათყვილს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილ ქართველო, შენ სიცოცხლეს
რა არ გარდაგხდა, არ მოითმინე,
მაგრამ ამითი შენს გარს მეოფს ურში
მით მაგალითი მრავალს უჩვენე.
ბასუსსა სცემდი, შენ გარს მეოფს ერსა,
შინ უბედობა არად მიიღე;
თავს არ უკრავდი შენზედ ძლიერსა,
გაჭირვებულთ სვე ბევრჯელ თავს იდვე.
მასსოვს,— ქვრივს ჯ ოხერ ტიელსა,
ვასაც კი აქუნდა საქმელა მცირე,
თავი ანებე თჯთ შენს საქმესა
მრთელი დღე იმათ საქმეს შესწირე.
მშობელთ იმედი შენსა ოჯახსა,
რა გამოაკლდა ორი ვაჟკაცი;
მტკიცედ დაადექ ქრისტეს სიტყვასა
ჯ შეუშელი ვითა მამაცი.
ჯ იმ დროს, ოდეს კაცში სურვილი
კვდება, იგიწყებს სოფლად უველასა;

შენ შეიქენი ბედის მორჩილი,
მტკიცედ შეუძელ ბედის წერასა!
ნამდვილ ქართველო, მე არას ვიტყვი,
გარემოება ამბობს თუთ შენი;
რომ სოფლის ტანჯვით აღამე დღენი
რომ თავს გარდაგხდა მრავალი სენი.
მაგრამ ჰ მაგრამ, საღმრთო სიტყვები,
რა მტკიცედ იცავ, დიდ ერთგულებით,
დღემდინ, რომელნიც თუ გეკანდა მტრები,
ისიც შეიქნენ შენი მოყვრები,
ჰ შენის ლექსით მას გვეუბნები,
რაცა შეშვენის ამ ცრუ სოფელსა;
ჰ რასაც თუთან შენ აღსრულებდი,
რაც არა ძალუძს ამ სოფლად ბევრსა
ნამდვილ ქართველო! შენ სიცოცხლეში,
რა არ გარდაგხდა, არ მოითმინე,
მაგრამ ამითი შენს გარს მეოფს ერში,
მით მაგალითი მრავალს ეჩვენე!

ი. კერესელიძე

1872 წელსა
16 დეკემბერს
ქ. ტფილისს.

კაბენისა მონასტერი.

(პლატონ იოსელიანისა)

ტფილისიდგან თორმეტს ვერსზედ მოშორებით მდებარეობს მთიანი ადგილი, რომელსაც ეწოდება აზელი ანუ კოჟორი, რომლის ახლო ტეის ნაპირას დღესაცა დგას თითქმის დაუქცეველი ციხე. ამ ციხის კვალადა სლო, არის სეობა, რომელსაც ჰქოფს ორ ნაწილად ჰატარა მდინარე ასურეთი, აქ ამ სეობაში, მოგზაურმა რომ გაიაროს ნახავს ერთსა მონასტერსა. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში უწოდებს კაბენისა მონასტერსა.

მველნი ქართველნი, მეოთხეს საუკუნეში, განათლებულნი სახარებითა, დიდის სიუჟარულით ჯ სარწმუნოებით მიდიოდნენ წმინდა ალაკების როგორც სანასავად, ისე სალოცავად საბერძნეთში ჯ პალესტინაში. აქ, რასაც ხედავდნენ ღირს სახსოვარად, გადმოჰქონდათ თავიანთ ქრისტიან საშობლოში დიდის სარწმუნოებით, არა თუ აშენებდნენ იმ გვართა ეკლესიებსა

რა გვართაცა ხედავდნენ იქ, იმ წმინდა ეკკლესიებს საკვლებსაც არქმევდნენ საძარეოველოში აღშენებულთ ეკკლესიებსა. ამ სახით აღშენდნენ საქართველოში ის ეკკლესიები, რომელრაცა დღესაც ეწოდებათ სიონი, ანტიოქე, გეფსიმანია, ბეთლემის ეკკლესია ალიმპია ჯ სხუანი. ამ გვარად აღშენდა კაბენის მონასტერიცა ეს სახელ წოდება არუს სირიაში ერთსა მონასტერსა, სადაცა იბუა იოანე ოქროპირი. თვითან იმ მდინარისათჳსაც რომელიცა ჩამოუდის ამ მონასტერსა, დაურქმევიათ ასურეთი,—ეს მდინარე ასურეთი იმ ასირიის მონასტერსაც ჩამოუდის გვერდზედ. ეველა ქართველი, ვინც კი ეოფილა ამ მონასტერში, იმ მდინარეს უწოდებს ასურეთად ჯ თჳთან ივასუშტიც ამ წოდებით მოიხსენი,ბს თავის გეოგრაფიაში.

აი რასა სწერს თავისაგან შედგენილს გეოგრაფიაში ვასუშტი! . . . . . ერთვის ალგეთს ხევი ასურეთისა, გამოსდის სამადლოს; იწოდების მუნ ფუნდრუკისათჳს. მოდის ხევი ესე სამხრით. კიკეთს ქუჩითს ხევსა შინა არს მონასტერი კაბენისა, ეოფილარს დედათა; გუმბათიანი, შუჩენაერი; აწ არს ხუცის სამარე, აღაშენა მეფემან თამარ; მას ზემორე არს ციხე აზეულისა ჯ აწ კოურისა თხემსა ზედა კლდისასა.

ამ მონასტრის ვრცელს ადგილს უჭირავს თითქმის მრთელი მდინარის ხეობა, სრულებით ეს ადგილმდებარეობა დაფარულია ხშირის ტყით, ასე რომ თჳთ ის მონასტერიც მართლად ტყეში არის. ეკლესიას ეარეშემო უდგარან ხეხილები, ახლა თუმცა დაბერებულან, მაგრამ მაინც ნაყოფი გამოაქჳსთ ყოველს წელიწადსა. აქ ნახავს მოგზაური ბალსა, ალუბალსა ყოველ გვარს ქლიავსა, ჭერამსა, ყურძენსა, კაკლის ხეებსა, თხილსა. კაკლის ჩინებული დიდრონი ხეები ახლაცა ასიამოვნებენ მლოცველთა.

როგორცა სჩანს ვახუშტის გეოგრაფიითგან, ის მონასტერი აღშენებულია თამარ დედოფლისგან, მაგრამ ჩჳჩნის აზრით, ეს მონასტერი იმაზედ წინ უნდა იყოს აღშენებული, თუმცა, ერთის ჰატარა ეკლესიის ზედწარწერილობითგანა, რომელიცა მოშენებული აქჳს იმ კაბენის მონასტერსა, სჩანს, რომ ეს მონასტერი თამარ მეფასაგან არის აღშენებული, მაგრამ მეორე მხრით ზედწარწერილობა ამტკიცებს რომ დიდი ეკლესია კი არ არის იმისგან აღშენებული, იმას მიუდგავს მხოლოდ ჰატარა ეკლესია ამ მონასტერისათჳს. ეჭვი არ არის აქ, როდესაც მტერნი უქადდნენ ამ მონასტერს დაქცევასა ჯ აოსრებასა, თამარ მეფას ბმა-

ნებით მიადგეს სხვა პატარა ეკლესია, რომელსაცა უწოდეს სიონი, სადაცა მიემატნენ სამღვდელონი ჯ სადაცა ყოველ დღე წირვა-ლოცვა სრულდებოდა, გარეშემო გალავნის კედელიც ამ დროს გაუმაგრებიათ ჯ დაუკერებიათ. ეს ბევრჯელ შევნიშნე, როდესაც ეკლესია რომელიმე ძველდებოდა ჯ თამარ მეფობის დროს აახლებდნენ ჯ აკერებდნენ, ზედ აწერდნენ, თამარ მეფემ აღაშენაო; მაგრამ იმის აშენებული არა ყოფილა, მხოლოდ განახლება კი მიეწერება იმას.

უპირველესი ეკლესია აღშენებულია ღუთის მშობლის მიძინების სახელზედ. კედლები, განახლებულნი თამარის დროს, ღღესაც შეურეველად დგანან. გუმბათი ნახევარი დაქცეულია თვრამეტის საუკუნის ნახევარში; სიგრძით ათი საჟენია, სიზრქით ოთხი საჟენია, ზედ წარწერილობა არსად არა სჩანსრა. ამ ეკლესიის არხიტექტურა წარმოგვიდგენს იმ დროს დიდს ხელოვნებასა. ქუჩაზედ გამოქანდაკებულნი არიან დიდ ხელოვნურად ჯვრები, მართლად ჯ, დიდხელოვნებით არის გამოყვანილი ამ მონასტრის ქვის ჩუქურთმეები, ყველაზედ მეტი ბელოვნება ნახმარია ორი ქვის ფანჯრებზედ, საიდამაც საკმაოდ დასცემს ნათელი ეკლესიის შუა-

გულსა, შიგნითი კედლები მსატვრობით სავსეა, სადაც თითქმის ყველგან ზედწარწერა აქუსთ როგორც ქართულს, ისე ბერძნულს ენებზედ, მაცხოვარის, თორმეტის მოციქულის მსატვრობა დღესაც კაფიათათა სჩანან, სილვესტრო ეპისკოპოზი, რომლისაგან ნათელი იღო დიდმან კოსტანტინემ, გამოსატულია აგრეთვე კაფიეთად, რომლის ქვემოთ ზედწარწერაც არის. იქვე დასატულია იოანე ნათლის მცემელი, რომელსაც აგრეთვე აწერია, თავისაგანვე წარმოთქმული სახარებიდგან.

„ აჰა ესერა ცული ჰსძეს ძირთა ხეთასა “

დასავლეთის მხრივ, აშენებულია კიდევ სხუა ჰატარა ეკკლესია წმინდა სვიმეონის სახელობაზედ; ეს ეკკლესია აღშენებულია თამარის მეფობის დროსა, ამ ეკკლესიას აღმოსავლეთის მხრივ აქუს შემდგომი ზედწარწერა:

. . . . ღუთისა . . . .
. . , . . . მონაწილე . . .
მეფობისა თამარისასა აღვაშენეთ,
გიორგის შვილთა კ. . . . ნიკოლოზ,
. . . . . ბასილი.

თორთომარი ᲯᲐ ი. . . . .ღმერთმან შეგინდვნენ ვინც რაჲ მოიჯირვა ამას ზედა. ამინ.

ერთს ქუაზედ, რომელიც ჩასმულია ეკკლესიის კედელში, სამხრეთის მხრივ, სწერია მხედრული ასოებით:

„ღმერთო შეიწყალე იობ წინამძღვარი.“

უბედურების დროს, როდესაც აოხრებდნენ მძვინვარე მტერნი, დაღისტნის მენი, საქართველოსა, სადაცა რომ დაეცემოდნენ, რაც მოხვდებოდათ ანგრევდნენ, კაბენის მონასტრის ბერთა შემოზღუდეს ეს მონასტერი მკვიდრის ქვიტკირის გალავნითა, ეს გალავანი დღესაც, მრთლადა დგას.

რომ მეტად შეაწუხეს ამ მონასტრის ბერნი, ლეკთა; რომ ღონე აღარ იყო, უნდა გაუქმებულიყო ეს მონასტერი, რადგანც ლეკთაგან შევიწროება უფრო მეტის მეტათ იყო მეთვრამეტეს საუკუნეში, ჩუენ ვგონებთ, რომ ეს მონასტერიც იმ დროებაში დაკეტილი უნდა იყოს. —

ვისაც მოხვდეს ჩემი არა ბრალია.

იცი რა საუვარელო მკითხველო, ბევრი მეცნიერის კაცისაგან შემიტყვია, მუნჯი ბედნიერიაო. სწორეთ ეს ასე უნდა იყოს, მუნჯსა რაცა გსურს უთხარი, ის არას დაგიდევს ამისათვის, რომ იმის ყურებს არაფრისთანა არა ესმისრა; აბა ესმოდეს რამ, მაშინ უეურეთ, ჯავრზედ მოსულმა თუ რა ქნას. მაშ რა იქნება: ესმის ჰ პასუხი ვერ მიუცია, უნდა რაღაცა წამოილუღლუღოს, ჰ ნაცვლად პასუხის გამოცემისა, რაღასაც უცნაურს ხმაზედ ღრიალებს. ამ უკანასკნელ მუნჯებს რომელთსცა ესმით და ვერა უთქვამთრა, რადგანც ენა დაბმული აქუსთ, ერთი მე გასლავარ, ამ უთავ-ბოლო სტატიის დამჩხაბავი; მე, რომელსაცა ბევრი უშესაბამო რაღაც რაღაცაები მესმის და ენა ნებას არ მაძლევს ვთქუა რამე პასუხად, რომ ეგები ამითი მაინც გავიგრილო გული.—ჩუსნი ქვე-

თველობა თრინჯულს ენაზედ ლაპარაკობენო, აი ჩემო საუკარელო მკითხველო, ეს არის მიზეზი რომ ზოგნი ერთნი ლაპარაკობენ, ქაჩთული ენა უნდა დაეცესო; ეს ენა უნდა შეუერთდეს იმ ხალხის ენას, ვისიც ხელში არიან ⁄ რომელნიც მრავალთ უმრავლესნი არიანო. რომ გავამტკუნოთ ამისი მთქმელი, ან კიდევ კაფიეოთ ვსთქუათ ამისი დამწერი, ეს წინდაუსედაობა იქნება, რადგანც ერთის მხრით სწორეთ ⁄ ჭეშმარიტათა სჯის. ამისათჯს რომ ცხადს ნიშნებს სედაუს არა თუ მარტო ეს, უველანი სედვენ, თითქმის რომ ეს ჩინებული ⁄ ჩუწნ წინათვე მშვენიერად შუმუშავებული ენა, ჯრელდება, იცვლება ⁄ ისეთი საქიჯვნავი შექნილა რომ ხშირად ისმის „ ენერგიები, ტრონით სიტუვები, იოლკები, ჩესტნი სიტუვები “ ⁄ სხუანი ⁄ სხუანი ⁄ სხუანი. ახლა ერთი ეს მიბმანეთ: ამისი გამგონე არ იტუვის ენა უნდა დაეცესო? არ იტუვის, ეს ენა უნდა გადასხვაფერდეს ⁄ სხვა ენად შეიცვალოსო? იტუვის უეჭველია, ამისათვის რომ ეოველდღე, თავის ენის ხმარებაში შემოაქუს, იმ ხალხის ლექსები, რომელი ხალხისაც მფარველობის ქვეშე არის; რომელიც ხალხი მრავალნი არიან ⁄ რომელთ ენას უფრო შეჩვეულნი არიან, ვიდრე თავის ნამდვილს

ბუნებისას, აქ რომ, იმ უფალთ ჭრელამეებს მცირედიცარი სულის სამტკიცე ჰქონოდათ, ისინი არ ისმარებდნენ სხუათა ენის ლექსებსა მაშინ, როდესაც რომ საკუთარი ლექსები აქუსთ თავიანთ ნამდვილს ენაზედ: თუ არ იციან არსებობა იმ ლექსებისა, მაშინ განა არ შეეძლოთ ეკითხათ იმ ზოგი ერთი ძველი კაცებისათჳს, რომელთაცა ჩინებულად იციან ქართული ენა; ის უფალნი ტეუილათ ნუ იკვეხიან, რომ მამაპაპათ ნას იცვამენ ვითომც, ვითომც მამულის გულისათჳს ეწევიან შრომას, იმათი „ ინტერესი “ აქ არა არის რა, თჳნიერ ქართულის ენის სიუუარულისა; ამითი ისინ, არათუ მადლსა სთესავენ ჯერეთ კიდევ ზნეობით წაუსდენარს სოფლელ ქართველებში, ისინი დიდადაც სცოდავენ, როგორც თან მეგრელ მოძმეებს, ისე მამაპაპათ, კიდევაც განვიმეორებთ, ეს არის მიზეზი, რომ ლაპარაკობენ ქართველთ ენა უნდა ამოიხოცოსო მაშინ, როდესაც რომ არა თუ ვნება მოაქუს ამ პატიოსან ენას ქვეყნისათჳის, დიდი ჲ დიდი სარგებლობა, ვისაც კი ესმის დამჯდარის ჭკუის პატრონს, უმეტესად იმათთვის, რომელთაცა არ იციან სხუა ენები. ჩუენი დედი ენა, ასე რომ არ დაემახინჯებინათ, ვერც ვინ იტეოდა, რასმე, რადგანაც ენის გაუქმების ჲ გადა-

რულების კვალს ვერავინა ნასავდა ⸗ თუ იტეოდა ვინმე რასმეს, როგორც თავის ასალად გამოცემულის პატარა წიგნით გამოსთქუა, ერთმა უცნობმა მთხზველმა, მაშინ იმას გაბედვით ვუპასუხებდით ასე: მოგვიტეონ კი ასე გულ ასდით მოხსენებისათვის.

წერიმანებს რომ არ გამოვეკიდნეთ, უპატივცემულესო დამალულო მთხზველო, რომლით სავსე არის თქუენგან ასალად გამოცემული წიგნი, რადგანც პირველი ასრი ის არის, წერილმანი ენები უნდა გაუქმდეს ⸗ შეუერთდეს დიდი სალხის ენასთან, ამაზედ უნდა მოგახსენოთ მცირე პასუხი: თუ პატივს სცემ სალხობასა ⸗ იმის სამღრთო კუთვნილებასა, ⸗ იწეენთ ამ ჩემგან მოხსენებულსა.

ეოველი კერძო ერი, რომელსაცა ქონიან ⸗ დესმე ისტორიული მნიშვნელობა ⸗ რომ[illegible] ⸗ [illegible]ება ეოვლად შეუძლებელია, ამ ერთს მაინცა ცდილობს, რომ ეს უკანასკნელი საღრმთო კუთვნილება, უმანკო საკუთრება, რომლით არავის რასა სცოდავს ⸗ აწეენინებსდაიცვას, გაუფრთხილდეს, მოუარეს, შეინახოს. ეს კარგათ მოგეხსენებათ, დიდად საქები საქმე არის ⸗ კაცობრიობის ზნეობის ღირსებით, ერთს ათადა ქმნის. ეს ერი უფრთხილდება თავის საკუთრებას იქამომდენ

ვიდრე ჟამთა ვითარება სოფლის ჩალხს დაატრიალებს, ამ ჩალხის დატრიალებაში უცებ მოჰკვეცა ვინ იცის რომელს ზემო ნაწილზედ; იქნება სულ ქვემო ნაწილსაც მოშორდეს ⸗ ხსენებაცა აღარ მოიხოებოდეს, ვინ იცის, ამას ბეჯითად ვერავინ გამოსთქვამს, ეს განგების ხელშია, მაგრამ ესეც არა ვინ იცის, დიდი სალხობა დიდ სალხად დარჩება საუკუნოდ თუ არა? ესეც განგების ველშია. ამისი მაგალითები ბევრია ⸗ რადგანც ისტორია კარგათ მოგეხსენებათ თქუენ, ამისათვის რაღა საჭირო არის აქ განვიმეოროთ, ან შორს რათ მივდივართ, როდესაც რომ ამ გვარი მაგალითი, უცებ, მოულოდნელად მოუხდა ერთს საველმწიფოს ამ მოკლეს დროში. ეს აზრი ამისათჳს კი არ მიგვეავს, რომ ჩუენ ქართველებს ენის შენახვით, სულ სხუა აზრი გვქონდეს; თავის დღეში არა, ⸗ ამას კი, ვიტეჯთ გაბედვით, ღმერთმა ინებოს ეოველს საველმწიფოში მოიხოვებოდეს ეს ერთგულება ⸗ სიყვარული თავიანთ მეუფეოსეებისა, რაცა არიან ჩუენნი საქართველოს სალხნი; ჩუენ მველადგანვე ჩვეულნი ვართ მორჩილებასა ⸗ ბძანების ხმაზედ ეოველთჳს მზათა ვართ თავები შევწიროთ.—მაგრამ, ამას რომ გვიქადაგებთ, ენა ამოვიგლიჯოთ, ნუ უპატივჯემულესო უმცნობო მთხზველო,

ენის საკუთრებას, ამ საღმრთო კუთვნილებას ხალხისას აგრე ადვილათ არ უნდა შაეხოთ. ნუ თუ ეს უკანასკნელი დარჩომილი ჩუენი განძი, უნდა შეიშუროს ვინმემ? მაგრამ, არა, ეს თქუენ სიშურით არ მოგდით, თქუენ როგორც ნამდვილს ქართველს, კიდეც გიყვართ ქართული ენა,—ამისი მიზეზი მოგვეს, ამ ჭრელამე ქართველ მჩხაბავებმა, რომელთაცა გადანათლეს ქართული ⰴ ამითი სედავთ, რომ ამ ბჯიჯვნავების ველში უნდა დაეცეს ქართული ენა, გადაიცვალოს, გადაინათლოს ⰴ ბოლოს სრულებითაც მოისპოს, ეს მართლადაც ასე არის: დღეს „ ენერგია „ შემოვიტანე ქართულში, სვალ დავწერე, „ ესა ⰴ ეს კაცი ბროსტოი კაციაო „ ზეგ „ კრასნი-გორკობა კვირას მოდისო „— წავა ⰴ რამდენიმე წლის შემდგომს, ჩუენი მწერლობა შეიქნება სხუა ენა! რასაკვრველია, კიდევაც ვიტუვი, ამ გვარნი მჩხაბავნი გვაფიქრებინებენ ენის მოსპობასა ⰴ გაუქმებასა.

ამ გვარნი მჩხაბავნი, ზემოთ იუურებიან, იმათათუს კაცს ვერა უთქვამსრა, მოგახსენებენ ჩუენ ბევრი ვიციოთ; ამაზედ არ აუხირდებით, იქნება ბევრი იცოდნენ ⰴ ბევრი ქვეუნის სასარგებლო აზრები ჰქონდეთ, მაგრამ ამას კი ვერ გვათქმევინებენ, რომ იმათ ქარ-

თული ენა რიგიანათ იცოდნენ; იმათ რომ ნამდვილად გული სტკიოდეთ ჯ ენისათჳს სიკეთე სურდეთ, ჴკითსავდნენ, მოელაპარაკებოდნენ იმ ზოგიერთ ქართველებს, რომელთაცა კარგათ იციან ქართული ენა ჯ ასე არ ალაპარაკებდნენ, ასე მიზეზს არ მისცემდნენ, ეთქვა ვისმე რამ ენის გაუქმებაზედ; მერე ასე სახალხოდ ჩუჩნ საკიცხავად, თუ ვისმეს შურს, რომ ქართველებს ახლა რამდენიმე ჟურნალები და გაზეთები გვქონან, ეს რა შესაშურებელია; სომხებს ბარე ათასობითაცა აქუსთ, მაგრამ კი არავის შურს; მაგრამ ეჰ, ჩუჩნ ქართველები ვართ,—ქართველებს უველგან ბედი გვღალატობს, რომლის მიზეზნი კი სულ ჩუჩნ თითონა ვართ,—ბევრი სათქმელი გვაქუს, რომ სმენის მექონე მუნჯი არ ვიყო, ზოგი დარჩეს შემდგომისათჳს, შემდგომში მოვილაპარაკებ მკითხველებთან, თუკი გამიგონებენ რასმე ჯ თუ არა, თავიანთი ახალი ქეიფია. ესკი საფიქრებელად უნდა გვქონდეთ, რომ ენის შეხება, ადვილი არ არის.—

თავხედი.

უკრაინის დიპლომატები

(შემდეგი)

— როგორი სალდათი ვარ მერე მე? ვიუავ მარ-
თალია ერთხელ მაგრამ, ომში ერთს ოსმალოს ისეთი
სუსხი ვაჩვენე, რომ იმ უაჩაღობისათვის, დენშჩიკობა
მამცეს; უბრალო კი ნუ გგონივარ, მე ვარ ახლა კაპი-
ტანის დენშჩიკი.

— მაშ განა კეთილშობილი ხარ?

— ნურავის ეტუვი!

— მაშ შენი ცოლიც კეთილშობილი გახდება?

— ისეთივე გახდება, როგორიც კეთილშობილი
მე ვარ: რა ვიცი, იქნება თავის დროზედ ღენერალიც
შევიქნა. ჩუჩნში ეს ადვილია.

ისეთის მოქნილის ენით ელაპარაკა მოტრეს შჩელ-
მენკო, რომ დაივიწყა რა დიდის ხნის ქალწულებრივი
თავისი მდგომარეობა ამ გამდელმა, გულის თქმა შაე-

ჰარა გულშ; დუნიაშას ძებნას თავი მიანება ჯ ეურადღებით სინჯვა დაუწყო შჩელმენკოსა, როგორც თავის საქმრისა.

„ გესმით, გესმით რა თქვა, ფიქრობდა მოტრე, ღენერლობასაც მივიღებო, ჩემი ბატონიც არ არის ღენერალი ჯ! — ასლა მიუბრუნდა შჩელმენკოს. იცი რა, თუ კი ეგრე არის, მართალია გონჯი ხარ, მაგრამ რაკი კეთილშობილი გავხდები, შეგირთავ. როდის გამომიგზავნი დასანიშნავად ბეჭედსა?

— იცი რა? რომ შენმა ბატონმა ნება მოგცეს ჩემის შერთვისა, ისე ექნათ, რომ ჯერ ჩუნმა კაპიტანმა შეირთოს შენი ბატონის ქალი.

— ჩემი ბატონები თავის დღეში იმას ქალს არ მისცემენ. ის ერთი ღარიბი ჯ ღატაკი კაცია.

— განა არ შეიძლება ჩუნ ისე მოვახდინოთ რომ მისცენ, თუკი ჩუნი თავის ბედნიერება გვინდა. მართალია, ეგენი იმას არ აძლევენ, მაგრამ მოვიტაცოთ რა, განა არ შეიძლება, თუკი შენც დაგვეხმარები, აი წიგნიცა მაქუს ჩემის კაპიტანისაგან საიდუმლო თქუნ ქალთან.

— თავის დღეში არ იფიქროთ არც შენ და არც შენმა კაპიტანმა, რომ ეგ წიგნი მე მიუტანო იმას,

დაიუვირა მოტრემ.

შელმენკოს საუბედუროთ, ეს დღე შაფათი იუო, როდესაც ჰოლებსა რეცსამდნენ ⁄ გაზეთებსა კითხულობდა კირილე ჰეტროვიჩი სკამზედ ჩამომჯდარი სადაცა ბრიელ გართული იუო სრისტონოსცების გამარჯვებაში.

როდესაც მოტრემ ბატონი დაინახა, მეტის შიშით სულ ერთიანათ აირიგა, რადგანც ამ დენის სნის ქანწული ქალი ელაპარაკებოდა საიდუმლოთ ერთს ვიღაცა კაცსა. რომ ვერა გაგუგორა, მეტი გზა არ იუო, უნდა დამალულიუო ვაშლის სის ბირში სადმე ⁄ შჩელმენკოს ბელით ანიშნებდა, ისიც მორიდებოდა, რომ ბატონს არ ენახა.

შჩელმენკოც დიდს გაჭირვებაში იუო, სის ბირიდგან გამოსულიუო, კირილე ჰეტროვიჩი დაინახამდა ⁄ ძალიან გაბერტყამდა, არ იცოდა თუ რა ექნა.

—წადი დაიკარგე აქედგან ახლავე შენ წუეულო! შემვერი მაგ ჯაგებში, ან ბალახში გაწექი, თორემ დავიღუპე, ეუბნებოდა მოტრე.

მაგრამ, რასაც ეს ეუბნებოდა, ეს შეუძლებელი იუო, კირილე ჰეტროვიჩს რა შემოესმა ფოთლების შარაშური, იფიქრა, უთუოდ ვაშლების მოსაპარავად ქურდი

შემოსულაო, მაშინვე დაანება თავი ხრისტონოსცების ბრძოლასა ⁄ გაქანდა იქითკენ.

„ აი შე ავაზაკო შენა, ეგ საიდგან შემოპარულხარ ვიღაცა ხარ? ჰე, ეგ რას ნიშნავს? აქ წამოდექი წინ.

— ისე . . . ისე . . . დიახ სწორეთ ისე . . . იცით რა მოგახსენოთ? . . . ქათამი . . . დიახ . . . ქათამი გამომექცა . . . ღობეზედ გადმომიფრინდა ⁄ . . .

„ დამაცა, მე შენ გიჩვენებ ქათამსა? მე შენ აქედან ცოცხალს არ გაგიშვებ. შენ რაღას აკეთებ აქ გამდელო, რას? ჰო, ვიცი, ვიცი, შენც დაგიწუვია მაგ ხანში აშიკობა. აი ბარაქალა გამდელო!

— იცით, რა ბატონო . . . . ეუბნებოდა შიშისაგან ფერ წასული შჩელმენკო; ეგ, აქ ჩემთან გახლდათ, ისე . . . ისე . . . ,

„ მე შენ არა გკითხავ, ვიღაცა ხარ, მე შენ მერე გელაპარაკები. შენთვის მერე მოვიცლი, მე შენა გკითხავ, გამდელო, აქ რათა ხარ? სწორეთ მითხარი, თორემ ვაი შენი ბრალი!

— მე თქუენთან დასამალავი არა მაქუსრა თქუენი ჯირიმე. მე ეკრეფავდი ჩამოცვივნულს ხითგან ვაშლებს, მურაბებისათჯს, ქალბატონმა მიბძანა, ამ დროს

მოვიდა ეს უნტერ-ოფიცარი დ მესვეწებოდა, ეგება თქუენი გასათხოვარი ქალი ჰაზინკაცა მომატაცებინოვო. აი წიგნიც მომცა ჰატარა ქალბატონთან.

„ მერე შენც გამოართვი?

— გამოვართვი, ამისთვის რომ თქუენთვინ მეჩვენებინა, სომ მოგესსენებათ ჩემი ერთგულება.

„ კარგი, მომეცი იქ წიგნი. შენკი ვიღაც ოხერი ხარ მოგირიგებ საქმეს. აბა ახლა რას იტეჯ.

„ მე ამისათჯს გიახელი აქა, რომ სულ სწორეთ მოგასსენოთ, თქუენო კეთილშობილებავ.

— ჰირველი ესა რომ აღარ გაბედო დ კეთილშობილობით აღარ მომისსენიო, თუმცა ჰრაპორჩიკის ჩინი მაქუს ატსტავკაში, მაგრამ მამა ჩემი ბუნჩუკების ამსანაგი იუო დ ეს წოდება ჰოლკოვნიკის ჩინს შეეთანასწორება, გესმის რომ მე არა ვარ სადა კეთილშობილი.

„ აკი არა, თქუენო მაღალ კეთილშობილებავ, რამწავსა გნახე, მე ეგ მაშინათვე შეგნიშნე. დიას მართალი გასლავთ, თქუენ სადა კეთილშობილი არა ბმანდებით, თქუენო მაღალ კეთილშობილებავ.

— ჰო, აი აგრე აი! ახლავე მითხარი ეველა-

ფერი სწორეთ. ხომ ხედავ, ჩემ ხელშია შენი სული. გამდელო დამიძახე ბიჭებს.

„ ბიჭებს რათ აწუხებთ თქუენნო მაღალკეთილშობილებავ. იქნება ახლა იმათ არა სცალიანთ, უიმათოთაც მე თქუენ მართალს მოგახსენებთ, გამდელიც აქ ტუვილათ საქმესა სცდება, დაესსენი წავიდეს მურაბების მოსასარშავათ.

— კარგი, გამდელო წადი შენ შინ ჯ ქალბატონს უანბე ეს საქმე, მეც მალე მოვალ.— რა გადაიკითხა წიგნი, წამოიძახა კირილე ჰეტროვიჩმა,— აი ის ავაზაკი, ხედავ! აბა ახლა შენ მითხარი რას იტეჯ!

„ მე თქუენი ჯირიმე ახლავე მოგახსენებთ, დიდ ხანს არ მოუნდები, აი თქუენნო მაღალ კეთილშობილებავ. ჰირველად სალდათად როგორ შეველი. . . მას აქეთ შვიდი წელიწადი იქნება, რაც სალდათად ვარ. . . . არა, ეტეული . . . მგონია ბზობის კვირა იეო . . .

— რაებსა ბოდავ, შენ ის მითხარი, აქ რათა ხარ?

„ აქ ჩუენი როტა დგას ჯ კაპიტანს ვახლავარ. დიახ. . . .

— მე შენ მაგას არა გკითხავ! ეგ მეც ვიცი, რომ შენი კაპიტანი ჩემ სატანჯავად გაჩნდა აქა, აქ რათა ხარ, ამ ბაღშია მეთქი?

„ ჰო, ეგა? ამისი შეტყობა გნებავთ იქუფნო მაღალკეთილშობილებავ, ბატონი ბძანდებით, მოგახსენებთ. მაშ ისკი არ მოგახსენოთ, სამსახურში თუ როგორ შეველი?

— შენც შეგარცხვინა, შენი სამსახურიც! ჩემთვის ეგ საჭირო არ არის, შენ ეს მითხარი, როგორ გაბედე აქ შემოსვლა, ჯ ჩემ ქალთან წიგნის მოტანა.

„ ეჰ, თქუფნო მაღალკეთილშობილებავ, რას იქმოდით, რომ მე არა ვეოფილიუავ, უსაჩოვს ამლევდა მაგ წიგნსა ჯ თუ იმას მოტანა, თითონ თქუფნ ქალსაც მოიტანებდა. ის სწორეო ეშმაკია, კაცი კი არ არის. მე ვნახე რომ თქუფნი საქმე ცუდათ იეო, ჯ განგებ მე ვიკისრე მაგ წიგნის მოტანა. რომ შემებრალე მაშ რა მექნა. . . . აქ შჩელმენკომ ტირილი დაიწეო.

— როგორ თუ შეგებრალე.

„ როგორ არ შემბრალებოდი, მაგისთანა კეთილი ბეგამი. მე თქუფნო მაღალ კეთილშობილებავ ისე შემიუვარდი, რომ თქუფნი გულისათუს მზათა ვარ თუნდა წეალში გადავარდე.

— მადლობელი ვარ ჩემო კეთილო შჩელმენკო. აი მაგის საჩუქრათ ჰირველად ამის ნებას გაძლევ,

მაკოცე ხელზედ! თუ მეტს სამსახურს გამიწევ, მეტს ჯილდოს მიიღებ. . . . .

„ ეს ხელზედ კოცნაც ჩემთჳს დიდი საჩუქარი გახლავთ.

— აბა ახლა მიანბე.

„ აი. რომ თქუენთვის საქმესახური გამეწია, მე ვიკისრე წიგნის მოტანა. კაპიტანს უთხარი. იქ ყველას ვიცნობ მეთქი. კაპიტანიც ისეთი სულელი არის რომ დამიჯერა.

— ეგ მეც ვიცი რომ ნამდვილათ სულელია, შენისთანა კაცი როგორც უნდა ისე გაასულელებს.

კირილე პეტროვიჩმა რა დაიმშვიდა გული გონივრულის ტ სიცრუით ლაპარაკით შჩელმენკოსი, ამასთანვე რა დარწმუნდა იმის ჰატიოსანის სიტყვებითა, შეუდგა ისევე გახეოების კითხვასა, მერე რომ გაათავა, გასწია თავის ცოლ ფენა სტეფანოვნასაკენ; გზაზედ რომ მიდიოდა, იფიქრა გაემხიარულებინა რითიმე თავისი ცოლი. ისე როგორღაც ფანტაზია მოუვიდა.

— იცი რა სულიკოჯან,— იცი რა მოვიგონე, უთხრა ცოლსა, რამწავს შევიდა იმის ოთახში,— მგონია კარგი მოგონება იყოს, ჩემო თაიგულო!

იმ დროს ცოლი აბრეშუმის შულოებსა სთვლიდა.

„ეს თექვსმეტი, შვიდმეტი, თვრამეტი. . . რაო ჩემო გულის ვარდო, რა მოიგონეთ? აბა რაღა თქმა უნდა კარგს რასმეს მოიგონებდი, მერე მაგისთანა გოგრის პატრონი . . . . ცხრამეტი, ოცი. . . . . თქვი ჯ რაღა, რა მოიგონეს.

— აი, რა? მე დაუფიქრდი ივანე საგიჩის მოქმედებასა, მე ის ძალიან მებრალება. თავისის სისულელით შეიუვარა ჩუჩნი პაზინკა, არც აქეთ მოიფიქრა ჯ არც იქით; არც ის იფიქრა, თუ ჩუჩნში ჯ იმაში რა დიდი განსხვავება არის, ჯ გაბედა ცოლათ უნდა შევირთაო, რასაკვრელია უარი უთხარით ჯ ისეც უნდა გვექნა. ვინ იცის, იქნება ახლა ის კიდეცა ნანობს, თუ რათ ჩაიდინე ეს სულელობა, სურს როგორმე საქმე გაისწოროს, მაგრამ არ იცის როგორ დაიწყოს, ამისათჳს რომ სახლში აღარ უშვებთ, რას ფიქრობ არ გაუგზავნოთ კაცი ჯ არ მოვიწვიოთ? ეგ ერთი არა არისრა, ჩუჩნ დიდკაცებს გვეტყვიან, დავიბარეთ, დავტუქსოთ, აღუკრძალოთ სასტიკათ, რომ აღარ გაბედოს პაზინკას სიეუარული ჯ ისევე ისე იყოს ჩუჩნს სახლში, როგორც ყოფილა.

„ოც ჯ ერთი, ოც ჯ ორი, ოც ჯ სამი. , . .

აი ეგ ძრიელ კარგათ გიფიქრია ⰴ მაგისთანა ჭკვიანური ჯერ აქამდინ შენს სიცოცხლეში არა გიფიქრია-რა, მეც კი ვგრძნობ სწორე გითხრა უიმისობას, სხვა არა იოსრა, საქმის გაკეთებაში მეხმარებოდა მაინც. კაცი არა მყავს ახლა, არეის გადაღებაში მიშველოს ,, ოც ⰴ ოთხი, ოც ⰴ სუოი. . . . . .

— გამდელი იყო შენთან?

— იყო რაღაცა ანბავებით, მაგრამ რა იმისი მცალიან ახლა, დედაკაცები იყვნენ ბევრნი ეაჯით ⰴ აბრეშუმით, გამდელს მივანდე ჩაებარებინა, ღმერთს გეფიცები მე ვეღარ ვასწრეფ იმდენი საქმეები მახვევია. . . . საღამოზედ გვიამბოს თუ რამე იცის? ახლა კი გაგზავნე ჩემო სულიკოჯან ივანე საველიჩთან, დაიბარე, ის ახლა ჩემთვის ძრიელ საჭირო არის, შეუთვალე თუ შეინანიებს რაც დააშავა, ჩუქნც ვაპატიებთ.

კირილე პეტროვიჩმა რა ბარათი აჩვენა უპასუხა.

— აბა ერთი წაიკითხე, რა სწერია აქა.

—თქუენ წაიკითხეთ სულიკოჯან, ხომ იცით რომ მე ხელნაწერი ვერ წამიკითხავს, თუ საამწუხარო რამ ბარათია მიანბე ⰴ თუ მართლა საამწუხარო რამ არის, კარგათ იცი ჩჯლი გულის პატრონი ვარ, ვიტირებ.

— აი ჩემო კარგო, როგორი საამწუხარო ბარათი არის. ეს ისეთი საამწუხაროა, რომ ის უფალი იწერება, მაგარი გულის ჰატრონები ეოფილანო „

ფენა სტეფანოვნამ ეს რომ მოისმინა, მეტის სიანჩხლით, თითქმის ერთ არშინზედ შეხტა.

-- როგორ თუ მკაცრი გული! განა კაცი იტუვის მაგას ჩუცნზედ.

— ქალს მოვალეობა არა აქუს დედმამას დამორჩილდეს, თუ თავისი გული წინააღმდეგსა გრძნობს.

— განა ჩუცნს წინააღმდეგობასა გრძნობს? . . . მერე რას?

— ეგ კიდევ არაფერი, დაუმატა კირილე ჰეტროვიჩმა, ის ურჩევს ჩუცნს ქალსა, რომ გაიქცეს ‌ ‌ ‌

— დიახ, სწორეთ უპასუსა კირილე პეტროვიჩმა, ჩუჩნი ერთად ერთი ჯარუმადათი შჯლი უნდა მოიტაცოს, მერე ისიც რა, დაუნიშნავს ალაგი თუ სად შეიყარნენ, რადროს ჯ როდის გაიქცნენ.

— გაიქცნენ! ღმერთო დიდებულო! ღუთის მშობელო ქალწულო, ეს რა მესმის, მერე პაზინკაც თანახმა არის.

ვაი თუ კიდეც გაიპარა, ჭა, რაღა გვეშველება?

— სად გაიპარებოდა? ისე ნაირათ ჩავიგდე ყელში ის წიგნი, რომ პაზინკას არცკი წაუკითხავს. ახლა მხოლოდ თვალეური ადევნე, ეოველს იმის მისვლა მოსვლას; რაც შეეხება იმ უფალს კაპიტანსა, ის ჩემს ყელში მეავს დაჯერილი; მე ვიცი იმას რასაც უზავ.

— იცით რა სულიკოჯან, მოდი დავიბაროთ აქა, თავზედ ქონი მოუსოთ ჯ როდესაც მოვიდეს, ერთი შენებურად კარგათ შემოსილაქე; ისე შემოსილაქე რომ არა თუ ჩუჩნი ქალი, თავისი თავიც დაავიწუდეს.

— არა, ეგ კარგი არ იქნება. მაშინვე გვიჩივლებს

— რას გიჩივლებს, თუ გიჩივლა, თავი მოიავანტეოფე. რაც გინდა თქვი ჯ, როგორმე კი უნდა გადავახდევინოთ, აბა ერთი ნება მომეცი პაზინკაზედა, ისე საქმეს გაუსდი, რომ ორმოცის წლის სიცოცხლე ჰქონდეს, მაშინაც ვერ შეიუვარეს.

(ზოგი მერმე იქნება.)

რედაქციისაგან

ჩუენის, ეოველიდგან ცნობილის უფ. კოლუბანსკისაგან, მივიღეთ სტატია, შესახებ ერთის უბედურებითის შემთხვევისა, რომელსაცა ვბეჭდავთ კმაეოფილებით.— ცისკრის მკითხველებთა იციან უფ. კოლუბანსკის ნიჭი, როგორც კარგის არტისტისა, სათეატრო საქმეში.— ეს არა ზოგავს თავის შრომას თუკი რამ შეეხება საზოგადოთ კეთილსა რასამე. ამას გარდა, ის დიდად აფასებს ჯ დიდათ თანაუგრძნობს ეოველს კეთილს ჯ არ დააგდებს რომ არა თქუას რა საქვეეონდ იმ კეთილზედ, რაცა მოუტანს ქუეანას სბრგებლობასა. ამასთანავე, გრძნობს დიდად ჯ გული შესტკივა, უკეთუ რამ უბედურება მოხდება იმ საზოგადოების წრეში, რომელსაცა ეკუთვნის. რომელს შემთხვევასაც აქ აღწერს უფ. კოლუბანსკი, ამ შემთხვევამაც ჩვეულებრ იმოქმედა ამაზედ ჯ გამოსთქვამს თავის შინაგანს გრძნობას, სასარგებლო კალმით.

რედ.

წიგნი მოწერილი რედაკტორთან.

უფ. რედაკტორო! რასაკვრველია თქვენც შეიტყობდით თუ რა საშინელი უბედურობა მოხდა ტფილისში ოცდა ცხრასა ენკენისთვისას: შეუცვივდნენ ავაზაკები აივაზოვის სახლში, სადაც დგას უფ. სურგუნოვი. იქ იყო ჩამომსტარი ერივანსკის ჰოლკისა მაიორი ალექსანდრე თურქისტანოვი, რომელმაც ერთის კვირის წინ მიიღო ორასი თუმანი სახეშწიფო ფული. რადგანაც, ჰოლკის კამანდრის ჰომოშნიკი იყო ამის მიზეზითა ჰქონდა სახეშწიფო ფულები. სურგუნოვის მოსამსახურემ შეამჩნია რომ ფულები მიიღო, შეატყობინა ავაზაკებს ⁊ სამის ნახევარზედ შუადამისას მოხსენებულს თვეში ავაზაკები შეუცვივდნენ, ⁊ დაუწყეს თურქისტანოვს ფულების მოთხოვნა, როდესაც გამოფსიზლდა მილისაგან ⁊ დაინახა სამნი ავაზაკნი თავზედ ადგანან ხანჯლებ ამოღებულნი, რასაკვირველია გაჰკვირდა ⁊ არიცოდა რით მოეშორებინა ეს ავაზაკნი

ᲓᲐ არც უჩვენებდა ადგილსა სადაცა ჰქონდა შენახული ფულები, ებრძოდა ავაზაკებს ბალიშითა, რადგანც იარალი არა ჰქონდარა ბოლოს უმიშრებმა ᲓᲐ ულმერთოებმა ავაზაკებმა, დაატეეს რომ ვერაფრით ვერ იგდებენ ფულსა ხელში, ბოლოს დასცეს სანჯალი მუცელში თურქისტანოვსა ᲓᲐ გაიქცნენ.— თუმცა გათენებასვე მოიეკვანეს ექიმები, მაგრამ ნახევარი დღეღა იცოცხლა ᲓᲐ განუტევა სული. ცხონებული იყო ოცდა თხუთმეტის წლისა, სამსახურში შევიდა 1855 წელსა არტელერიაში ᲓᲐ 1857 წელსა მიიღო ᲞᲠᲐᲞᲝᲠᲨᲩᲘᲙᲝᲑᲐ ᲓᲐ აფიცრების ჩინში დაიწყო სამსახური, ლიტოვსკის ᲞᲝᲚᲙᲨᲘ დაღესტანში, შემდგომ სტრელკოვის ბატალიონში, ეოველს ომში იმეოოებოდა ᲓᲐ ერთს ომში გამოაჩინა ვაჟკაცობა ᲓᲐ მიიღო ვლადიმერის ჯვარი, იყო გამოჩენილი, მიღებული კაცი, უყვარდათ მთავრობას რადგანაც კარგი მოსამსახურე აფიცერი იყო ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ კაცი ᲓᲐ აგრეთვე სამაგალითო ამხანაგი, რადგანაც ამ უბედურს დედას ამის მეტი ვაჟის შვილი არა ჰყვანდა ᲓᲐ რამდენიმე წელიწადი თავისთან მოშორებული იყო, ისურვა მშობელმა ᲓᲐ სთხოვა შვილს რომ ახლო დედასთან გადმოსულიყო სამსახურში ᲓᲐ მშობლის დედის გული დამშვიდებულიყო. შვილმა აუსრულა

სურვილი დედისა, თუმცა დიდი შრომა გასწია გადმოეგანასწედ რადგანაც დაღისტნის მთავრობა გრძნობდა რომ კარგი ამსანაგი ‌ᲓᲐ აფიცერი აკლდებოდათ, მაინც დაბრკოლეს, 1869 წელსა გადმოვიდა მაიორის ჩინით ერევანსკის ჰოლკში, აქ დახვდნენ რამდენიმე აფიცრები, რომელნიც ერთად ემსახურებოდნენ სტრელკოვის ბატალიონში, შაექნათ სიხარული საზოგადოდ აფიცრებს ერევანსკის ჰოლკისას რომ ამისთანა შტაბ-ოფიცერი გადმოვიდა კარგი საამსანაგო ‌ᲓᲐ მოსამსახურე, როგორც დაუმტკიცა კიდეცა. არ განულო რამდენმა თვემა ჰოლკის კაპანდერმა დანიშნა ნაჩალნიკათ, სტრელკოვის ბატალიონს უკამანდა რამდენიმე თვე, შემდგომ მიიღო ადგილი ჰომოშნიკობისა, ჰოლკის კამანდრისა ‌ᲓᲐ სიკვდილამდენ აღსრულებდა ამ ადგილსა, რადგანაც ამ ადგილში უფრო ხშირათ ‌ᲰᲥᲝᲜᲓᲐ საამსახურის გამო მთავრობასთან საქმე, უფრო შეაუვარა თავისი თავი მთავრობას, როგორც კაცი ერთგული ‌ᲓᲐ მოსამსახურე ჭეშმარიტისა, ‌ᲓᲐ როგორც ამსანაკი, არა ენა ვერ გამოსთქვამს ‌ᲓᲐ იშვიათად დაიბადება კაცი იმისთანა ჩინებულის ხასიათებისა როგორც იყო თურქისტანოვი. კაცი მანამ ცოცხალ არს ბევრს კარგსა ნახამს ‌ᲓᲐ გამოიყლის თავის სიცოცხლეში, მაგრამ თითქმის სულ

ავიწუდებათ, და ვინც კი იცნობდა ასლო თურქისტა-
ნოვს, არაფრით არ შეიძლება რომ გულში არეკვდეს
თუმცა ესლა კვდადრია, ⰴ არც დაავიწუდება სიკვდი-
ლამდინ, თუმცა მაღალ სასწავულებში არ გაზდილა, ის
იუო მსოლთდ თფილისის კლასიჩესკის გეშნაზიაში
ⰴ არც შეასრულა კურსი, მეოთხე კლასიდგან გამო-
ვიდა ⰴ სამსახურში მაშინვე შევიდა ზემო ხსენებულს
ადგილში, მაგრამ ეოვლის ფერით საუსე იუო კეთი-
ლითა, მაშა სადამე, მე მინდა ვსთქვა რომ თითონვე
აცნობა საზოგადოობას თავისი თავი ⰴ არა მაღალსა
სასწაულებითა თუმცა ცხონებული თურქისტანოვი არ
იუო განათლებული კაცი, მაგრამ გულით იუო განათ-
ლებული. სამსა ოკტომბერსა გვამი მისი მიაბარეს
მიწასა სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიის გალავანში.
იქ დამარხვის მიზეზი იუო სურვილი ამხანაკებისა
ერევანსკის ჰოლკისა, რადგანაც მანგლისის გზა
არის ⰴ ეოველი მანგლისიდგან ჩამომსვლელი
ქალაქში ⰴ აქედგანაც ამსვლელი მანგლისში გადახე-
დონ საფლავსა, სადაც არის შესვენებული ჰატიოხანი
გვამი. საფლავის ნების დართვისა იკისრა ნაჩალნიკმა
გრენადერის დივიზიისამ ეენერალ ადიუტანტმა კნიაზ
იოსებ დავითის ძემ თარხან მოურავმა, რომელიც სა-

შინლად სწუხდა თურქისტანოვის სიკვდილსა. ცხრა საათზედ დილით ზემოხსენებულს რიცხვში შეიყარნენ ხალხნი სადაც გარდიცვალა, ნათესავნი, ტომნი, მეგობარნი ⁊ მრავალნი გარეშე ხალხნი, რომ უკანასკნელად მისცენ პატივი ახლად შესვენებულსა, აგრეთვე ბალკონებზედ ⁊ ბანებზედ ხალხით იყო გაჭედილი, წინ მიცვალებულს მიუძღოდა მათ ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი ეგსარხოსი, ევსეი ქალაქის სამღვდელონი, რამსარეზედაც მიგესვენდნათ, ხალხის მწუსარეებას ⁊ მდუღარის ცრემლებს მეტს ვეღარასა ვერა ვხედამდით, რაღასაც საშინელებას ⁊ გასაკვირველს კარტინას წარმოგვიდგენდა, მომატებულად მიმხედველი უბედურის მშობლისა დედა. ვერა მწერალი ვერაფერს ვერას დასწერს ⁊ ვერას წარმოსთქვამს, მგზავსა რაც მაშინ სანახავი იყო. პარადში იყო დანიშნული ის ბატალიონი, რომელსაც უბედური ჭკამანდობდა, ⁊ როდისაც სახლიდკან გამოასვენეს, თითქმის მდუღარის ცრემლით ტირიდნენ სალდათები, უნდა მოგახსენოთ, როდისაც როდესაც სალდათი ცრემლს დაღვრის ვისზედმე, მაშა სადამე ის კაცი ყოვლის ფრით ღირსეული ეოფილა. ზემოხსენებულს ეკლესიაში წირვა მოასმენინეს ⁊ შემდგომ მიაბარეს მიწასა, ჩასვენების დროს

საფლავში, ეგზარხოსის დართვის ნებითა ⁄ საზოგადოთ აფიცრების ერეკანსკის თხოვნითა წარმოვსთქჯ რამდენიმე სიტყვა ამ შეშოხვევის გამო, ქართულხ ენაზედ, რომელსაცა გთხოვთ დაბეჭდოთ.

უბედურო მშობელო დედავ ეკატირინე! დღევანდელს დღეს შენის ხელით აური მიწასა შენს საყვარელს, უმვირფასეს შვილს ალექსანდრესა, ⁄ ჩვენს უმვირფასეს მეგობარსა, ოჰ! უბედურო მშობელო, ქვაც კი ლაღადებს ამისთანა საშინელს უბედურებასა; ⁄ ჩვენც არა გვჯერა, რომ ჩვენი უმვირ- ფასესი მეგობარი ალექსანდრე გამოგვაკლდა, მის მშვენიერი სასე, ოვლისფრით შემკობილი ვაჟკაცი, უმაწვილი კაცი ასე უდროოთ ებარება მიწასა. ვიცით მშობელო, რომ ნაწლავები გაქუს ანთებული გამოუთქელის საშინელის ცეცხლითა, მაგრამ შენი შვილი ალექსანდრე უმეტესად იტანჯა, როდესაც უშიშარმა ავაზაკმა დასცხო სანჯალი ნაწლავებში. მანამ ცოცხალ ვარ არ დამავიწყდება სიტყვები ჩემის უმვირფასესის. მეგობრის ალექსაედრესი, შემდგომ დაჭრილობისა, როდისაც ვნახე ეს უბედური, მითხრა: მეგობარო ჩემო, არა ვნანობ რომ ამისთანა შემთხვევითა ვკვდებიო, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს; რადგანაც ეს განსვენებული გათქმული კაცი იყო

ამტკიცებდა ამას ყველგან, ⰴ ამისთანა გამოუთქმელს შემთხვევაშიაც დაუმტკიცა ხელმწიფეს ვაჟკაცობა ⰴ შესწირა თავი, თუმცა ეოვლის უნუგეშოდ ⰴ ცოცხალ მკვდარი დაუტევა თჳსი საყვარელი მშობელი, ვიცით მშობელო რომ შენი სიცოცხლე ადარ გასწევს ხანგძლივ, მაგრამ ესეც უნდა იცოდეთ: რომ იესო ქრისტე არა ქრისტიანს არ უშვებს უნუგეშოდ: წარმთიდგინეთ ის მდგომარეობა როდისაც, იესო ქრისტე ჯვარს აცვეს ⰴ როდესაც მშობელი მარიამ დასტიროდა ცხარის ცრემლით, მაშინ იესო კრისტე უპასუხებდა თავის მშობელს: ნუ მტირ მე დედავ, რამეთუ მესამესა დღესა ნახო ჩემი აღდგომა“ ამითი იესო ქოისტე გვიჩვენებდა, რომ მართალნი ისარებენ სასუფეველსა ცათასა; ისე შენი უძვირფასესი შვილი ალექსანდრე, რომელიც დღეს მიეცა შავსა მიწასა, როგორც მართალი კაცი წინაშე ქრისტესსა ⰴ როგორც მსსვერპლ შემწირველი კაცი უკეთუ მსახურა ხელმწიფისათვის ამისი სული ხარობს სასუფეველში, მაშა სადამე უნდა მოუკლო შენი მწუხარეება ⰴ წარმოსთქვა დამშვიდებულის გულითა სიტყვები იესო ქრისტესი, რომელმაცა ბძანა „ იუავ ნება შენი“ მერწმუნე, აქა მდგომარენი ერნი საზოგადოთ მონაწილებენ

შენს საშინელს უბედურობაში, მაგრამ უნდა აღსრულდეს ნება ღვთისა. ამ გამოუთქმელ მწუხარეების შემდგომ დაგრჩა მხოლოდ ის ნუგეში, რომ ვვედრო ყოველად მოწყალესა ღმერთსა, რათა მან ისმინოს შენის დამშვიდებულის გულითა ვედრება ჯ ლოცვა, რომ სასუფეველში ცათაში გეღირსოს შენა, შენის უძვირფასესის შვილის ალექსანდრეს სულთან შეერთება; რომელიც ყოველი ქრისტიანი ჯ მართალი კაცი მას ვსასოებთ ჯ ვნატრობთ.

ყოვლად პატიოსანნო აქა მდგომარენნო, საზოგადოთ ვევედრნეთ ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, რათა ამ უბედურს მშობელსა ბოსტეს მოთმინება ამ საშინელის მწუხარების ატანისა, ჯ ახლად შესვენებულსა პატიოსანსა ვაჟკაცსა გვამსა ჯ საზოგადოდ საყვარელსა მეგობარსა ალექსანდრეს, დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა.

უფ. რედაქტორო თუმცა საშინელი ჯ საზარელი სანახავი იყო. როდისაც თითო მუჭა მიწა მიაყარეს, მაგრამ ყველამ შეასრულა ეს წესი წარმოთქმითა მწუხარების გულითა ჯ სულითა. დაიშალა რა ხალხი, საზოგადოება ერევანსკის ბოლკში შეიყარნენ ლაგერში ჯ დაწყეს ჭაზრი რომ ერევანსკის ბოლკის აფიცრებმა

დადგან სახსოვარი ნიშანი საფლავზედა, შეადგინეს სიტ ჩამოუტარეს ყველა აფიცრებს ხელის მოსაწერათ, ვისაც რამდენი სურდეს ტ დადგა იმდენი ფულის ჯამი, რომ იმედი გვაქვს კარგი სახსოვარი დაიდგას. მშვიდობით საუკუნედ მეგობარო ჩვენო, პატიოსანო გვამო უმაწვილო კაცო ალექსანდრეე, უდროოთ მიწაში შესვენებულო, მანამ ცოცხალი ვართ შენი მეგობრები, ჩვენს გულში არ გაქრება შენის მეგობრულის სიყვარულის ნაპერწკალი.

პორუჩიკი კოსტანტინე კოლუბანსკი.

1873 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სასით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიის ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტირუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено цензурою.

Въ Типографіи Мартиросянца, на Михайловскомъ мосту.